ქ. თბილისი, ბეთლემის ქ.#24-ში მდებარე შენობისა და მიმდებარე განაშენიანების მხატვრულ-არქიეტქტურული ანალიზი და დასკვნა განსახორციელებელ სამუშაოებზე

ქ. თბილისი

2019წ.

ობიექტი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიულ, ძალზედ სენსიტიურ ნაწილში, ბეთლემის ქ. #24-ში. სანამ უშუალოდ საკვლევი შენობის მხატვრულ-არქიტექტურული იერსახის შეფასებაზე გადავალთ, ვფიქრობთ საინტერესო იქნება მცირე ექსკურსი უბნის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიის შესახებ[1].

უბნის ისტორია

შუასაუკუნეებრივი თბილისი სამ ნაწილს მოიცავდა, რომელთა შორის სიდიდით კალა გამოირჩეოდა. კალას შემადგენელ ორივე ნაწილს – ზემო და ქვემო კალას, ისევე როგორც მის მიმდებარე საკუთრივ თბილისს (სეიდაბადს) შუასაუკუნეებრივი ქუჩათა ქსელი ედო საფუძვლად, რომელმაც დღევანდლამდე მოაღწია. აღნიშნული ორი უბნის გადასწვრივ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე მეტეხის ეკლესიისა და ფერისცვალების მონასტრის მიმდებარე სამოსახლო უბნის ისნის აღმოცენება, რამდენადმე გვიანდელად არის მიჩნეული, თუმცა მისი ქუჩათა ქსელი ასევე ძველია და შუა საუკუნეებით თარიღდება.

კალა-ისან-სეიდაბადშია თავმოყრილი თბილისის არქიტექტურული სიმდიდრე – ციხე-სიმაგრე, ცალკეულ ციხეთა გადარჩენილი ფენები, სხვადასხვა კონფესიური საკულტო შენობები. უძველესი აბანოები, ქარვასლები, სეიდაბადსა და კალაში მდებარეობს. თბილისის აღნიშნული სამი უბანი XIX საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებული საცხოვრებელი სახლების ტიპოლოგიურად და სტილისტურად მრავალფეროვან ნიმუშებს შეიცავს. აქ არის გაფანტული ძველთბილისური ეზოიან-აივნიანი საცხოვრებელი სახლების მაღალმხატვრული ნიმუშები, რომლებიც დღემდე დიდწილად განსაზღვრავენ ძველი თბილისის არქიტექტურულ ღირებულებას. ამ უბნებშია კონცენტრირებული საცხოვრებელი უბნების სივრცითი ორგანიზაციის ის ტრადიცია, რომელსაც თბილისის ახალი უბნების განვითარება დაეყრდნო.
ციხისუბანი, კლდისუბანი და ბეთლემისუბანი აღნიშნული მთლიანობის ნაწილია და ქვემო კალას მიკროუბნებს წარმოადგენს. ეს კალას სამხრეთ-დასავლეთით, მაღალ ნიშნულზე მდებარე ერთიანი, უწყვეტი განაშენიანებაა, რომელიც სოლოლაკის კეხის, ნარიყალა-შახისტახტს შორის მოქცეული მონაკვეთის კლდოვან ძირს მიუყვება და თავს დაჰყურებს კალას და მის მიმდებარე უბნებსა და კლდეებს.

[1] კვლევაში გამოყენებულია ICOMOS-ის მიერ მომზადებული მასალა „“ბეთლემის უბნის კონსერვაციი გეგმა - ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები. ასევე არქიტექტურის ისტორიკოს მაია მანიას სტატია **„ციხისუბანი – ძველი თბილისის დაკარგული ფასეულობა“**

ბეთლემის უბნანი, თბილისის ისტორიული ნაწილის - ქვემო კალას შემადგენლობაში შემავალი კლდისუბნის მიკროუბანია. იგი სოლოლაკის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ძველი ქალაქის დასავლეთის საზღვართან ახლოს მდებარეობს და შემოიფარგლება სამი მხრიდან ბეთლემის ქუჩით გომის ქუჩის გადაკვეთამდე, ბეთლემის II ჩიხით, ასკანის I ჩიხით და მის გასწვრივ ბეთლემის აღმართის მონაკვეთით, ხოლო სამხრეთით განაშენიანების ბუნებრივი საზღვრით, კლდის ფერდით. ძველი ქალაქის ეს მონაკვეთი აქტიურად შემოდის ხედვის არეში და კარგად აღიქმება მრავალი წერტილიდან, რასაც პირველ რიგში მისი შემაღლებული მდებარეობა განაპირობებს. ბეთლემის უბნის ჩრდილოეთით, მეზობლად გადის ლ. ასათიანის დიდი ქუჩა, რომელიც პურის მოედნიდან იწყება, კალას უბანს სცდება და სოლოლაკში გრძელდება. მახლობლადაა აგრეთვე ორი მოედანი - პურის და იერუსალიმის.



ბეთლემის უბანი, როგორც ზოგადად თბილისი, მრავალფენიანია და რთული. ის ერთი იმ ადგილთაგანია, საიდანაც თბილისის ქალაქმშენებლობითი პროცესი იწყებოდა და ამაზე ყველაზე უფრო დამაჯერებლად ბეთლემის ეკლესიისა და ათეშგის აქ მდებარეობა მეტყველებს. პლ. იოსელიანი, საეკლესიო ტრადიციაზე დაყრდნობით, ბეთლემის ეკლესიას ვახტანგ გორგასლის დროის ხუთ ეკლესიას შორის იხსენიებს, ასევე ათეშგაც-ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი, ამავე ხანაში უნდა აღმოცენებულიყო. საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით,

საკულტო ნაგებობები შემაღლებულ და მცირედ მაინც იზოლირებულ ადგილას შენდებოდა.



შარდენის ჩანახატის მიხედვით, XVII ს-ის მეორე ნახევარში ეს ორივე ნაგებობა განაშენიანებიდან მოშორებით, ერთმანეთისგან განცალკევებულ დამოუკიდებელ ბორცვებზე დგას, რომელთა შორის ხევი იკვეთება. XVIII ს-ის დასაწყისისთვის კი, თუ ტურნეფორის ჩანახატს დავეყრდნობით, კლდისუბნის ეს მიდამოები განაშენიანების გარემოცვაშია. ძნელია ამ ჩანახატების დოკუმენტური სიზუსტის მტკიცება, მხოლოდ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ თბილისს ახასიათებდა მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდებში მოსახლეობის რიცხვის და დასახლების სიმჭიდროვის სწრაფი ზრდა. ამ გარემოების გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადრეულ წარსულშიც იკავებდა მოსახლეობა მთის ამ ფერდის ზედა ნაწილებს, მაგრამ დაბეჯითებით ამის მტკიცება მხოლოდ არქეოლოგიური დაზვერვების ჩატარების შემდეგ იქნება შესაძლებელი. რაც შეეხება ჩერნეცოვის, 1830-იან წწ.-ში შესრულებულ ნახატს, იგი ავტორისათვის დამახასიათებელი დოკუმენტურობით წარმოაჩენს ბეთლემის უბნის უკვე ჩამოყალიბებულ ბანურ-ტერასული განაშენიანების სახეს. საყრდენი კედლებით შემაგრებული ტერასები, საცხოვრებელი სახლების ქვედა ფენები, სარდაფები და სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობები, რომელთა დიდი ნაწილი უფრო ადრინდელია ვიდრე ნაგებობა, ნათელს ხდის, რომ სახლების უმრავლესობა ადრინდელი საცხოვრებლის ნაფუძარზეა აშენებული ან ძველი ნაგებობის ნაწილს შეიცავს, რაც მიგვანიშნებს შუა საუკუნეების ქალაქგეგმარებითი სტრუქტურის დაცულობაზე ამ ნაწილში. ამით არის

განპირობებული ისტორიულად ჩამოყალიბებული გეგმარებითი სტრუქტურის თითქმის უცვლელი ხასიათი და, სწორედ ამიტომ ბეთლემის უბანი ურბანული მემკვიდრეობის გამორჩეულ ნიმუშს წარმოადგენს.



XIX საუკუნის თბილისის ერთ-ერთი ადრეული, 1882 წლის გეგმაზე, კალას ქუჩათა მიხვეულ-მოხვეულ ქსელს მთელი შუასაუკუნეებრივი სიმდიდრით იკითხება. ციხისუბანს და კლდეზე შეფენილ მის მიმდებარე მიკროუბნებს ჯერ კიდევ მეჩხერად დასახლებულად გვიჩვენებს, მაგრამ სამოსახლო ბაქნებს უკვე ჩამოყალიბებულად. გომის ქუჩის ვიწრო ზოლი, რომელიც სამივე მიკროუბანს გრძივ მრუდად მიუყვება, ჯერ უსახელოა, დღევანდელი ბეთლემის ქუჩის წინაპარი ქუჩა კი, მკაფიოა. და მას Церковная ჰქვია. ამ ქუჩის მოხაზულობა ოღრო-ჩოღროა, მაგრამ რამდენიმე სწორხაზოვანი მონაკვეთისგან შეგდება.



თუ როგორ ყალიბდებოდა ამ უბნის ქუჩათა სტრუქტურა XIX-XX სს-თა მანძილზე, ნათლად ჩანს თბილისის სხვადასხვა პერიოდის გეგმებზე და ფოტოსურათებზე. ნიშანდობლივია, რომ XIX ს-ის განმავლობაში საცხოვრებელი სახლები ფაქტობრივად ძველი შუასაუკუნებრივი ქუჩათა ქსელის მიხედვით აიგო. ცალკეულ შემთხვევებში მთავარ ვერტიკალურ, ან ქუჩების სიმრუდეებში, ან ქუჩათა შეხვედრის ადგილებში შენობები რელიეფს მიუყვება. ამის გამო მათი მთავარი ფასადი კუთხესა და ორ კედელს მოიცავს. რელიეფს პლასტიურად მორგებული მოცულობები ღია აივნების აჟურით იხსნება ქალაქისკენ და სრულიად განუმეორებელ განაშენიანებას ქმნის.


8137. Тифлисъ. Площадь на пескахъ, дома надъ р. Курой, крѣпость и Сіонскій соборъ 89.


www.georgianart.ge
№ 941. Тифлисъ. Р. Кура. Сіонскій соборъ и петхаинская церковь 160

საპროექტო ობიექტი

საპროექტო ობიექტი, სწორედ ასეთ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ადგილას ბეთლემის ქუჩა #24 -ში მდებარეობს და უბნის საერთო ურბანულ მორფოლოგიაში აქტიურად არის ჩართული. შენობა ბეთლემისა და ო. თუმანიანის ჩიხს შორის არის მოქცეული, რომელიც ფაქტიურად თუმანიანის ჩიხის ბოლო ნაგებობაა და თავისი მდებარეობითა თუ მასშტაბით მიკროკვარტალის საერთო სურათშია ჩასმული.



შენობა 2000-იან წლებში აშენდა და თავისი პროპორციითა და მასშტაბით, ქვედა კალას საერთო საფასადო სურათში ერთ-ერთ, საერთოს დაქვემდებარებული კომპონენტის როლს თამაშობს. შენობა არათანაბარ რელიეფზეა განთავსებული და შესაბამისად რთულ მორფოლოგიურ სტრუქტურაზე მდებარეობს. ამავდროულად ზალზედ საინტერესოა შენობის წინამორბედი, რომელიც საარქივო რუკებისა და ფოტომასალის საშუალებით მეტნაკლებად შეიძლება აღვადგინოთ.

1897 წლის, ქ. თბილისის საარქივო გეგამზე, სადც მიწის ნაკვეთები და მათი მეპატრონეებია დატანილი, აღნიშნული ტერიტორია რამდენიმე მიწის მცირე ნაკვეთისგან არის შედგენილი. მათ შორის, სწორი კონფიგურაციის მიწის ნაკვეთის

მფლობელი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ვინმე გრიგორი ვართანოვია.



უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ზემოაღნიშნულ მასალაზე ჩანს, რომ საინტერესო მონაკვეთის ურბანული ქსოვილი დღევანდელ სურათთან შედარებით ოდნავ განსხვავებულია. ამჟამინდელ ბეთლემის ქუჩას, ო. თუმანიანის ქუჩასთან კავშირი არ აქვს და მცირე ჩასასვლელზე, რომელიც დღეის მდგომარეობით არსებობს, რამდენიმე პატარა მიწის ნაკვეთი და შესაბამისად შენობაა განთავსებული. შესაძლებელია, რომ სწორედ ამ შენობების ნგრევის შედეგაც წარმოქმნილი სივრცე დროთა განმავლობაში ორი ქუჩის დამაკავშირებელ მცირე გზად იქცა.

ქ. თბილისის საარქივო ფოტოებზე, აღნიშნულ მონაკვეთზე მცირე მოცულობიანი შენობა იკითება. მე 20 საუკუნის დასაწყისის ფოტო, უბნის იმჟამინდელ სურათს ასახავს, სადაც უბნის მორფოლოგია, შენობათა პროპორცია მასშტაბთან ჰარმონიულად არის შეთავსებული. სხვადასხვა კონფიგურაციის ნაგებობები, ხის ჟურული აივნებით გახსნილნი, ვერტიკალურ საკულტო ნაგებობების მახვილებთან ერთად ძალზედ პლასტიურ, ფერადოვან და ამავდროულად სრულებით ინტიმურ სურათს ქმნის. ჩვენი საკვლევი ობიექტის წინაპარიც სწორედ ასეთ განაშენაინებაშია ჩართული, თუმცა მას განსაკუთრებული არც მხატვრული და არც არქიტექტურული ღირებულება არ უნდა ჰქონოდა გარდა იმისა, რომ ის ქალაქის მე 19 საუკუნის განაშენაინების ავთენტურ ნაწილს წარმოადგენდა.





ობიექტის 1980-იანი წლებისთვის უკვე ძლიერ არის დანგრული, მიწის ნაკვეთი მასზე არსებული დანგრეული შენობით მხატვართა კავშირის მოთხოვნით მათ საკუთრებაში გადადის. 1988-89 წლებში, არქიტექტორ შოთა ყავლაშვილის სახელოსნოს თაოსნობით, მომზადდა უბანში არსებული რამდენიმე ნაგებობის რეკონსტრუქციის პროექტი. მათ შორის მუშაობა უშუალოდ ჩვენს საკვლევ ობიექტზეც დაიყო.

სამწუხაროდ არსებობდა თუ არა წინამორბედი შენობის ფრაგმენტები, ამის დადასტურება დღეის მდგომარეობით არ შეგვიძლია, თუმცა გადმოცემით, სარდაფის ცალკეული ნაწილები იკითხებოდა მხოლოდ. ამჟამინდელი შენობა 2002 წელს აშენდა ძველი ნაგებობის ადგილას და ის ავთენტურ, ისტორიულ გარემოშია ინტეგრირებული.



შენობა ისეთი კონფიგურაციით არის განთავსებული მიწის ნაკვეთზე რომ უბნის საერთო სურათში მისი ორი ფასადი აქტიურად იკითხება. ძველი ქართული აგურით ნაგები შენობის ფასადი, აგურის პროფილებით სიმეტრიულად არის

დანაწევრებული, რის გამოც შენობის ფასადი ერთგვარ დინამიურობას იძენს, რაც მის მხატვრულ გამომსახველობას ერთიორად ზრდის.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, შენობა რთულ რელიეფზე, ორი ქუჩის კვეთაზეა განთავსებული, რის გამოც მისი სართულიანობა ორივე მხრიდან სხვადასხვაა. ნაგებობა ოსტატურად იშლება სუბსტრუქციაზე, ისე რომ ქუჩებზე მოძრაობისას, მისი ფასადები თანდათანობით იხსნება.

შენობის ავტორი, არქიტექტორი ზაზა ციციშვილია, ხოლო თავად შენობა „დიზაინ ოტელ მე 20 საუკუნე“-ს წარმოადგენდა. მოგვიანებით შენობის მფლობელი შეიცვალა, რომელმაც ნაგებობის ავთენტური, ხია აივნები მოხსნა და მის ადგილას მოხარატებულ პროფილიანი აივნები განათავსა. შეიცვალა აივნების ზომაც, რომელმაც თითქოს ნაგებობის პროპორცია“ შთანთქა“.

ფსევდო კლასიცისტურ ყაიდაზე ნაგები შენობა, ძალზედ რთულ სენსიტიურ ადგილას ახალი მოცულობის განთავსების დადებით მცდელობათ შეიძლება

ჩაითვალოს, თუმცა ერთმნიშვნელოვნად, შენობის სერთო პროპორციასა თუ არქიტექტურასთან სრულებით შეუსაბამო პირამიდული გადახურვით. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ნაგებობის რეკონსტრიქცია იგეგმება, რაც ბეთლემის ქუჩის ფასადზე ღიობის გაჭრას, ძველი აივნების სტრუქტურის დაბრუნებასა და სხვენის სართულის მოწყობას გულისხმობს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რეკონსტრუქციის ავტორი თავად არქიტექტორია, რომელიც „გრძნობს“ თავად შენობას, მის მხატვრულ თუ არქიეტქტურულ კონცეფციას. ვფიქრობთ პროექტის განხორციელება დასაშვებია, შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- ✓ თავდაპირველი არქიტექტურული კონცეფციის შესაბამისად, შესაძლებლად მიგვაჩნია აივნების რეკონსტრუქცია და მათი შემინვა. გასააზრებელია თავად ალათების მხატვრული გადაწყვეტა, რომელიც შენობის არქიტექტურას უნდა ესადაგებოდეს;
- ✓ დასაშვებია ბეთლემის ქუჩის მხარეს ღიობების გახსნა;
- ✓ რაც შეეხებ სხვენს, ის უნდა მოეწყოს ამჟამად არსებული მანსარდის სივრცეში. შესაბამისად კეხის ზედა ნიშნული უცვლელი უნდა დარჩეს;
- ✓ სასურველია სხვენი განთავდეს არა სრულად შენობის მთელ პერიმეტრზე, არამედ მხოლოდ მის მონაკვეთზე, რათა არ „შეიჭამოს“ მოცულობა;
- ✓ სხვენის სართული უნდა იყოს ნაგებობის პროპორციული, ისე რომ არ დაირღვეს მისი გარემოსთან მორგებულობა;
- ✓ როგორც უკვე აღვნიშნეთ, შენობა თავისი მდებარეობის გამო, გახსნილი ხელისგულივით იკითხება. მიუხედავად ბოლოდროინდელი, საკმაოდ მასშტაბური და უსახო ჩარევებისა მიკროუბანში, რეკონსტრუქცია, მეტადრე სხვენის სართული უნდა მოეწყოს არამხოლოდ შენობასთან ჰარმონიულად, არამედ მიმდებარე ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოსთან თანაზიარობით;
- ✓ რეკონსტრუქცია უნდა იყოს უმტკივნეულო, ნაკლები არქიტექტურული თუ მხატვრული აქცენტებით, მკვეთრი დისონსის გარეშე. და ბოლოს სასურველია მომზადდეს ფოტომონტაჟი, რომელიც საპროექტო სამუშაოების შესაძლებლობას დაადასტურებს.



ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია